

ვაკანსია თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურში პროექტების უმცროსი მენეჯერის პოზიციაზე

ძირითადი მოთხოვნები

უმაღლესი განათლება (უპირატესობა მიენიჭებათ ახალ კურსდამთავრებულებს)

- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

ძირითადი მოვალეობები მოიცავს სტუდენტებთან ურთიერთობის ოფისის კოორდინატორისთვის დახმარების გაწევას შემდეგი მიმართულებებით:

- აბიტურიენტებთან კომუნიკაცია უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროცესის და პირობების შესახებ
- საუნივერსიტეტო გაცნობითი ტურების/ შეხვედრების კოორდინირება
- აბიტურიენტებთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება
- მობილობის პროცესის მენეჯმენტი
- პირველ კურსელების მიღებისა და რეგისტრაციის პროცესის მენეჯმენტი
- ზაფხულისა და ზამთრის სკოლების ორგანიზება
- კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის მენეჯმენტი
- სტუდენტური კლუბების განვითარებაში ხელშეწყობა
- საუნივერსიტეტო კონკურსების ორგანიზება
- სტუდენტური პრაქტიკების ორგანიზებაში ჩართულობა

საჭირო დოკუმენტაცია: CV და სამოტივაციო წერილი

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის მიხედვით, მეორე ეტაპზე ჩატარდება ტესტირება ინგლისურსა და ზოგად უნარებში, მესამე ეტაპზე - გასაუბრება. (დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან)

ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 15 თებერვალი, საბუთების მიღება წარმოებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ პოზიციის დასახელება „პროექტების უმცროსი მენეჯერი“. წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელფოსტა: vacancy@freeuni.edu.ge

ვებგვერდი: www.freeuni.edu.ge